ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის ქვეპროგრამის მოხდება ქსელის მოწყობა წყალტუბოსა მუნიციპალიტეტის სოფლებში მუხიანი, ოფშკვიითი, გეგუთი, სოფ. ტყაჩირი და ახალ საყულია.  ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.</li> <li>• პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.</li> </ul>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		49,3
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოხდება საკონცერტო დარბაზ „ივერია“-ს სახურავის შეკეთება; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში და სამხატვრო გალერიაში ოთახების სარემონტო სამუშაოები; ქ. წყალტუბოში, კოსტავას ქ №4 ბინის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა - ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია; ქ. წყალტუბოში, ცივი ტბის მიმდებარედ ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ავარიული შენობების საგარანტიო თანხების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი			

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		450,6
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		



პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 06</b>		<b>1 261,8</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია,</li> <li>• წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება;</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული შენობების რეაბილიტირებული ფასადები , საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>შენობების ფასადების რეაბილიტაცია</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 06 02</b>		<b>74,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე;</li> <li>• მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება.</li> </ul>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 06 03</b>		<b>260,4</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. წყალტუბოში ჭავჭავაძისა და თამარ მეფის ქუჩებზე, ასევე თბილისის ქ. №1 და ჩოლოყაშვილის ქ. №1 ბინებთან სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩიროში სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია;		
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება - რეაბილიტაცია მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელებისათვის.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 06 04</b>		<b>817,8</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფენა ან / და მსხვილფენა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია;		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე;</li> <li>• ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი.</li> </ul>		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სოფლის მხარდაჭერის პროგრამა</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 07</b>		<b>759,7</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგარანტიო თანხების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის პრობემების გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 08</b>		<b>51,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება.		
	კოდი		2021 წლის დაფინანსება ათას ლარში



პროგრამის დასახელება		სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	
	02 09		199,8
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო სტანდარტებს.		

#### მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 806,7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,806.7	20.9	1,785.8
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	0.0	0.0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	53.3	0.0	53.3
03 03	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1,050.9	0.0	1,050.9
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“	618.5	20.9	597.7
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერები	84.0	0.0	84.0

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		53.3
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება.		



	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>03 03</b>		<b>1050,9</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;</li> <li>• მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.</li> </ul>		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>03 04</b>		<b>618,5</b>
პროგრამის განმახორციელებელი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროექტის ფარგლებში განხორციელდება მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით.</p> <p>პროექტის ფარგლებში იგეგმება ერთი ნაგვზიდისა და სეპარირებისთვის საჭირო 60-მდე ბუნკერის შექმნა, 10 საკომპოსტე მოედნის მოწყობა, ცნობიერების ამაღლების მიზნით საგაზაფხულო ბანაკების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება, პროექტი ასევე ითვალისწინებს ღონისძიებებს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა თანამხლევი ღონისძიებები.</p> <p>პროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების რეალიზაციას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებას, ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერების გზით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაუმჯობესებული მწვანე გარემო;</li> </ul>		

	კოდი		2021 წლის დაფინანსება
--	------	--	-----------------------





პროგრამის დასახელება		ნაგავშემკრები კონტეინერები	ათას ლარში
	03 05		84,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.</li> </ul>		

### მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 151,7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
04 00	განათლება	3,151.7	451.7	2,700.0
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2,700.0	0.0	2,700.0
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	451.7	451.7	0.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2700,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 23 საბავშვო ბაღი 1850 აღსაზრდელით. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა / მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უზრუნველყოფის მიზნით ზაგა - ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება.		
მოსალოდნელი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.		



შედეგი	
--------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		451,7
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური )		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დეღეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პროგრამის ფარგლებში am etapze ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	დეღეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლების ხელშეწყობა		

### მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3152,6 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	3,152.6	0.0	3,152.6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,734.0	0.0	1,734.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	40.2	0.0	40.2
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,693.8	0.0	1,693.8
05 01 02 01	წყალტუბო არენა	140.0	0.0	140.0
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	565.0	0.0	565.0
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	988.8	0.0	988.8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,414.4	0.0	1,414.4
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,250.5	0.0	1,250.5
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	500.5	0.0	500.5
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	650.0	0.0	650.0





05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	100.0	0.0	100.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	63.9	0.0	63.9
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	4.3	0.0	4.3

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1734,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		40,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორცაა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭედის მომსახურება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; გვიც თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; გურამ ქურასხედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი; შალვა ზუიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში (საერთაშორისო); სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მართაონი; სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი; ნოდარ კობრეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში; დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო); ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო სკოლებს შორის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სექციის სპორტსმენებისათვის ფორმებისა და სპორტული ინვენტარის შესყიდვა.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდობის გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		1693,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბო არენა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		140,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო არენა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		565,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 420 სპორტსმენი.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული კლუბებით და სექციებით სარგებლობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 04		988,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური )		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მოწყობა სოფელ მუხიანში ქაჭარის უბანში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში. ასევე განხორციელდება ცენტრალურ სტადიონზე გასახდელისა და საშხაპების შენობის გადახურვა; ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური სტადიონის შემოღობვა, ტრიბუნებისა და მაყურებელთა სკამების მოწყობის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ორი მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ქალაქ წყალტუბოში რაგბის მოედნის მოწყობის სამუშაოები;ქ. წყალტუბოში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მოედნის საფარის რეაბილიტაცია.		



აღწერა და მიზანი	გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მონაწილეობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.  ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;  მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა.

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02</b>		<b>1414,4</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01</b>		<b>1250,5</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01 01</b>		<b>500,5</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი		
	ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდობის ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პოტენცილის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პროგრამების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები და მათი თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01 02</b>		<b>650,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემაჯავალი 3 მუზეუმი, 28 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები .		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 01 03</b>		<b>100,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	ტურისტული ზონის, როგორც რეკრეაციული , ბალნეოლოგიური და სამკურნალო ტურიზმის კომპლექსის მიმზიდველი იმიჯის ფორმირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>კულტურული ღონისძიებები</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 02</b>		<b>63,9</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, საშობაო ღონისძიება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულთა დაჯილდოვება, ტრანსპორტირება, აგრო ტურისტული ფესტივალი, სასწავლო წლის დაწყება, ხელოვნების დღეები წყალტუბოში, მოწვევა, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილი, სიყვარულის დღე, გენდერული თანასწორობა, ქართული სამოსის დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 2 მაისობა (გვირილობა), ბავშვთა საერთაშორისო დღე, სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სახალხო დღესასწაული „ოტაობა“, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ღვინის და ყველის ფესტივალი, სოხუმის დაცემის დღე, სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის საღამო, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშურების, წიგნების,		



	მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურება; საახალწლო ღონისძიება; საახალწლო საჩუქრები.
მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 03</b>		<b>100,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.		
მოსალოდნელი შედეგი	ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 03</b>		<b>4,3</b>
პროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა პროექტები: <ul style="list-style-type: none"> <li>• ეტალონი;</li> <li>• ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დღეები;</li> <li>• რა? სად? როდის?</li> <li>• შშმ პირებისთვის საჩუქარი;</li> <li>• ევროკავშირის დღეები.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები და მათი თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება; მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობა;		

## მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1994,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 994,7	67,8	1 926,9
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	131,8	64,8	67,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	131,8	64,8	67,0
06 02	სოციალური პროგრამები	1 862,9	3,0	1 859,9
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	249,6	0,0	249,6
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება	2,0	0,0	2,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	106,0	0,0	106,0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	11,9	3,0	8,9
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	696,6	0,0	696,6
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	140,5	0,0	140,5
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	604,2	0,0	604,2
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	52,0	0,0	52,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		131,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		249,6
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი		
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით.		





ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	2020 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინმიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 02</b>		<b>2,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 03</b>		<b>106,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65 000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი. ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით. ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ პუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომელთა შვილები დაიბადა 2020-2021 წლებში და არ აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი</b>	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 04</b>		<b>11,9</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</b>		
	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, ასევე		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	უჭირისუფლო გარდაცვლილების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.  ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე გარდამავალი ვალდებულებების ანაზღაურება.
მოსალოდნელი შედეგი	სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		696.6

ქვეპროგრამის განმახორციელებელი **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:

ა) სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას განესაზღვროს დახმარება - 250 ლარი.

ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება – 500 ლარი;

გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;

